Start Business Solutions

2023

ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა

საქართველო

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის

INDUSTRY-LED SKILLS DEVELOPMENT PROGRAM

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „პროფესიული პროგრამები ICT სექტორში“ სტუდენტების მიერ.

პროექტი ხორციელდება კვლევითი და ბიზნესსაკონსულტაციო კომპანიის START - BUSINESS SOLUTION-ის მიერ, USAID-ის მხარდაჭერით, პროგრამის: „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში.

აპუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს START - BUSINESS SOLUTIONS-ისა და USAID-ის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი(ები)

ავტორები: მათე სამხარაძე, ციცი ჯახველაძე, ტუკაზბან ისკანდაროვა

1. შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა, თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევაა. ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემაა მსოფლიოში.

კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული 2021-2022 წლების სტატისტიკური მონაცემები და ანგარიშები, რაც ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის აქტუალურობისა და მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.

კვლევის ამოცანები

- საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის თემის შესწავლა, მონაცემთა ანალიზი და პრობლემის წარმოჩენა.
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავება პრობლემის ანალიზზე დაფუძნებული მიგნებების გამოსაკვეთად;

ძირითადი საკვლევი საკითხები

- საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებისა და საერთო მდგომარეობის ასახვა;
- საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის სახეების გამოკვეთა;
- საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა;
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, პრობლემის ანალიზზე დაფუძნებული მიგნებების გამოსაკვეთად;
- საქართველოში, ქალთა მიმართ ძალადობის თემის შესწავლა, მონაცემთა ანალიზი და პრობლემის წარმოჩენა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, სისტემური ანალიზის მეთოდი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, შიანაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები. ასევე გამოყენებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაეროს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ანგარიშები.

2. კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

გაეროს დეფინიციით, ქალთა მიმართ ძალადობა განისაზღვრება როგორც „გენდერულ ძალადობაზე დაფუძნებული ქმედება, რომელიც მოიცავს ქალების ფიზიკურ, სექსუალურ და მენტალურ ზიანსა და წამებას, მათ შორის, ასეთი ქმედებების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების თვითნებურ აღკვეთას საჯარო თუ პირად ცხოვრებაში.[1]“

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულია ქალთა ძალადობის ორი ძირითადი ფორმა:[2]

ძალადობა ინტიმური პარტნიორის მიერ - ინტიმური პარტნიორი ან ექსპარტნიორის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს. მათ შორის, მოიცავს ფიზიკურ აგრესიას, სექსუალურ იძულებას, ფსიქოლოგიურ ძალადობას და მაკონტროლებელ ქცევებს;

სექსუალური ძალადობა - „ნებისმიერი სახის სექსუალური აქტი, სექსუალური აქტის დამყარების მცდელობა ან სხვა ქმედება, რომელიც მიმართულია პირის წინააღმდეგ ძალის გამოყენებით, ნებისმიერ გარემოში მსხვერპლთან კავშირის მიუხედავად. ეს მოიცავს: გაუპატიურებას, გაუპატიურების მცდელობას, არასასურველ სექსუალურ შეხებას და სხვა არაკონტაქტურ ფორმებს.“[3]

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ქალების 30% ინტიმური ან არაინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია.[4]

საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებისა და შიდა ინსტიტუციონალური ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოში კვლავ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა და საფრთხე, რომელიც სტატისტიკური მონაცემების თანახმად[5], ყოველწლიურად ზრდადი დინამიკით გამოირჩევა.

---

[1] Declaration on the Elimination of Violence against Women Proclaimed by General Assembly resolution 48/104 of 20 December 1993,2pg.
[2] World Health Organization. Violence against Women.9 March, 2021
https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women
[3] World Health Organization. Violence against Women.9 March, 2021
https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women
[4] https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women
[5] ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020. საქართველოს.სახალხო დამცველი, 2021,5გვ.
https://info.police.ge/page?id=115
https://info.police.ge/page?id=102
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/186/administratsiuli-samartaldarghvevebi

საქართველოს მოსახლეობა სქესის მიხედვით, 2022 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება:[6]



გრაფიკი 1. საქართველოს მოსახლეობის გენდერული განაწილება

ქალების საშუალო ასაკი, 2022 წლის მონაცემებით 40,4-ს შეადგენს,[7] აქედან 2022 წლის მონაცემებით, დაქორწინებულ წყვილთა რიცხოვნობა 23 155-ია.[8]



გრაფიკი 3. დაქორწინებული წყვილების რაოდენობა



გრაფიკი 2. ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკი

[6] http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Demography
[7] http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Demography
[8] http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Demography

2021 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში ოჯახში მოძალადე პირთა 6639 (სულ 7990), ხოლო 2022 წლის I-III კვარტლის მონაცემებით, მოძალადეთა 3152 პირი (სულ 3735) მამაკაცია.[9]



გრაფიკი 5. მოძალადეთა გენდერული განაწილება, 2021



გრაფიკი 4. მოძალადეთა გენდერული განაწილება, 2022

2021-2022(I-IIIკვარტალი) წლების მოძალადეთა სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2021 წელს, საქართველოს მოსახლეობის ქალთა საერთო რაოდენობიდან ძალადობის მსხვერპლი ქალთა 3,59%-ია, რაც მთელი მოსახლეობის 1,86%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემების მიხედვით კი, საშუალოდ 30 ქალიდან ერთი ძალადობის მსხვერპლია.



გრაფიკი 6. ძალადობის სტატისტიკა

[9] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/186/administratsiuli-samartaldarghvevebi

2022 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით კი, საქართველოში, ქალების საერთო რაოდენობიდან ძალადობის მსხვერპლია ქალების 1,74%.



გრაფიკი 7. მსხვერპლი ქალების წილი პოპულაციაში

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის აქტუალურობას საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიშიც ცხადყოფს, რომლის თანახმადაც:

„2021 წელს ეროვნული სამოქმედო გეგმები არ შემუშავებულა და არც ის მიზნები და ამოცანები დასახულა, რაც საქართველოში მცხოვრები ქალების მდგომარეობაზე მოახდენდა დადებით გავლენას.[10]“

სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის 2020 წლის სპეციალური ანგარიშის თანახმად, 2020 წელს, 24 ქალის მკვლელობა და 27 მკვლელობის მცდელობის ფაქტი დაფიქსირდა, [11] რაც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რაც ფემიციდის შემთხვევების ზრდის ტენდენციაზე მიანიშნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2021 წელს დაფიქსირდა 170 გაუპატიურების შემთხვევა, ხოლო 2022 წლის მონაცემებით (იანვრიდან ოქტომბრამდე) – 148 გაუპატიურების შემთხვევა [12], რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავის (დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ) მიხედვით ისჯება „თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლების შეღუდვით ან მის გარეშე.[13]“

[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ,144გვ.
[11] ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020. საქართველოს.სახალხო დამცველი, 2021,5გვ.
[12] https://info.police.ge/page?id=115
[13]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, თავი XXII
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=243

აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკა, შესაძლოა სრულ სურათს არ ასახავდეს, რადგან საქართველოში არსებული სტიგმატური თუ მენტალური მიდგომებიდან გამომდინარე, ქალთა გარკვეული ნაწილი არ მიმართავს, არ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს, რაც თავისთავად ქმნის პრობლემებს არამხოლოდ ობიექტური სტატისტიკის წარმოჩენის, არამედ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის თვალსაზრისით.



გრაფიკი 8. გაუპატიურების შემთხვევების სტატისტიკა

2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების საერთო რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით **6 940** პირს შეადგენს. აქედან ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია დაფიქსირებული(2994).[14]



გრაფიკი 9. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, 2021

[14] https://info.police.ge/page?id=102

2022 წლის I-III კვარტლის ოფიციალური მონაცემებით კი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობა რეგიონების მიხედვით **5003** პირს შეადგენს. აქედან ყველაზე მეტი შემთხვევა ისევ თბილისზე მოდის(2369).[15]



გრაფიკი 10. .ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, 2022

2022 წლის პირველი ნახევრის შედეგების პროცენტული ცვლილება 2021 წელთან შედარებით, შემდეგნაირად აისახება:



გრაფიკი 11.ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, შედარებითი ანალიზი

[15] https://info.police.ge/page?id=102

მოცემული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა ხუთ რეგიონში იკვეთება: თბილისში, ქვემო ქართლში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კახეთსა და იმერეთში.

პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, საქართველოში უშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობასთან, მათ შორის, ძალადობის ფორმებთან მისადაგებული ზუსტი სტატისტიკური მონაცემები გასაჯაროებული არ არის, ამდენად გამოყენებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის სახეების შესახებ.



გრაფიკი 12. ოჯახური ძალადობის სტატისტიკა რეგიონების მიხ.

საქართველოში, ძირითადად, ქალთა მიმართ ძალადობის ორი სახე ვლინდება: **ფიზიკური ძალადობა,** რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის დაზიანებას, ცემას, წამებას ან სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და სხვას და **ფსიქოლოგიური ძალადობა,** რომელიც მოიცავს მუქარას, შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას ან სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ადამიანის ღირსებისა და პატივის შელახვას.

აღნიშნულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს, რომლის თანახმადაც, 2021-2022 წლების მონაცემებით, ძალადობის ტიპის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ **ფსიქოლოგიურ**(8627-2021წ.,3988-2022წ. პირველი ნახევარი) და **ფიზიკურ**(2494-2021წ.,1094-2022წ. პირველი ნახევარი) ფორმაზე მოდის:[16]

[16] https://info.police.ge/page?id=102





გრაფიკი 13. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა სახეების მიხედვით

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები, ასევე, მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ორ გავრცელებულ ფორმას:

სექსუალურ ძალადობას, რომელიც გულისხმობს ძალადობით სექსუალურ კავშირს, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე, სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვა სახის მოქმედებას ან გარყვნილ ქმედებას არასრულწლოვანის მიმართ და **ეკონომიკურ ძალადობას,** რომელიც მოიცავს ქმედებას, რომელიც იწვევს საცხოვრებლით, საკვებით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრების და შრომის უფლებების განხორციელების, ასევე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ძალადობის ტიპების 2022 წლის პირველი ნახევრის შედეგების პროცენტული ცვლილება 2021 წელთან შედარებით შემდეგნაირად გადანაწილდა:



გრაფიკი 14. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, დინამიკა სახეების მიხედვით

რაც შეეხება უშუალოდ ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურეს ფორმას - ფემიციდს, რომელიც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში აქტუალური პრობლემა გახდა, ის გენდერული ნიშნით ქალის მკვლელობას გულისხმობს, რაც ხშირად განმარტებულია როგორც „ქალის განზრახ მკვლელობა იმის გამო, რომ ქალია."

ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის თანახმად, ფემიციდის რამდენიმე ძირითადი ტიპის კლასიფიცირება და განმარტება შემდეგნაირად ხდება, მათ შორის:[17]

- **ინტიმური ფემიციდი.** ქალის მკვლელობა კაცის მიერ, რომელთანაც აკავშირებდა ურთიერთობა ან ინტიმური კავშირი, მაგალითად: მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სექსუალური პარტნიორი, ყოფილი სექსუალური პარტნიორი და ა.შ;
- **არაინტიმური ფემიციდი.** ქალის მკვლელობა უცნობი კაცის მიერ, რომელთანაც მსხვერპლს არ ჰქონია ურთიერთობა, მაგალითად სექსუალური ძალადობა, რომლის შედეგია მკვლელობა და სხვა;
- **ოჯახური ფემიციდი.** ქალის მკვლელობა ოჯახური ურთიერთობის კონტექსტში;
- **ბავშვთა ფემიციდი.** 14 წლამდე ასაკის გოგონას მკვლელობა უფროსი კაცის მიერ, რომელსაც გარკვეული პასუხისმგებლობა და სტატუსი გააჩნია ბავშის მიმართ.

საქართველოში, ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებულ ფაქტებს შესაძლოა, გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული ადგილობრივი დამახინჯებული ტრადიციები თუ მიდგომები, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, უმუშევრობის მაღალი დონე და განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებდეს.

მაგალითად, 2021 „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის" მიხედვით, ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით 156 ქვეყანას შორის საქართველომ 61-ე ადგილიდან 64 ადგილზე გადაინაცვლა.[18]

აღსანიშნავია ისიც, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ბოლო სამი წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ემთხვევა ოჯახში ძალადობის შემცირების ფაქტს[19], რაც უკავშირდება ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევ ფაქტორს - ცხოვრების დონის გაუარესებას.

[17] Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide),15-16pg.
[18] საქართველოს სახალახო დამცველის 2021 წლის ანგარიში, 2022წ, 144გვ.
[19] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp



გრაფიკი 15. ოჯახში ძალადობის რაოდენობისა და მშპ-ს დინამიკა

თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობას ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთქმედება და არაერთი კონკრეტული ფაქტორი განაპირობებს. კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებელი შესაძლოა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდეს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე, მაგრამ არ იყოს გადამწყვეტი. მაგალითად: კონკრეტულ წლებში, უმუშევრობის მაჩვენებლის ცვლილებასთან ერთად, ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი მცირდებოდა:[20]



გრაფიკი 16. ოჯახში ძალადობის რაოდენობისა და უმუშევრობის დონის დინამიკა

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია იმ რისკ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გარკვეულ წინაპირობას ქმნის აღნიშნული დანაშაულის განსახორციელებლად.

[20] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულია ინტიმურ პარტნიორულ და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორები, რომლებიც საქართველოშიც მეტად აქტუალური და საყურადღებოა, მათ შორის:

- განათლების დაბალი დონე (სექსუალური ძალადობის ჩადენა და სექსუალური ძალადობის გამოცდილება);
- ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ისტორია (ჩადენა და გამოცდილება);
- ოჯახური ძალადობის მოწმე (ჩადენა და გამოცდილება);
- ალკოჰოლის მავნე გამოყენება (ჩადენა და გამოცდილება);
- მავნე მამაკაცური ჩვევები, მათ შორის, მრავალი პარტნიორის ყოლა ან დამოკიდებულებები, რომლებიც ამართლებს ძალადობას (ჩადენა);
- საზოგადოების ნორმები, რომლებიც მამაკაცებს ანიჭებენ პრივილეგიას ან მაღალ სტატუსს და დაბალ სტატუსს- ქალებს;
- ანაზღაურებად სამსახურზე ქალების წვდომის დაბალი დონე;
- გენდერული თანასწორობის დაბალი დონე (დისკრიმინაციული კანონები და ა.შ.).[20]

მათ შორის, ინტიმურ პარტნიორულ ძალადობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- წარსულში ძალადობის გამოვლენა;
- ოჯახური უთანხმოება და უკმაყოფილება;
- სირთულეები პარტნიორებს შორის კომუნიკაციაში.

ხოლო, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ფაქტორები შემდეგია:

- რწმენა ოჯახის პატივისა და სექსუალური სიწმინდის მიმართ;
- მამაკაცის სექსუალური უფლებამოსილების იდეოლოგია;
- სუსტი სამართლებრივი სანქციები სექსუალურ ძალადობაზე.[21]

ამასთანავე, თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა ონლაინ სივრცეში, განსაკუთრები კი, სოციალურ ქსელებში ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენა.

[21] https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ გაეროს გენერალური ასამბლიის 2022 წლის ანგარიშის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ აქტუალურ ფორმას, ციფრულ კონტექსტში ძალადობა წარმოადგენს, რაც ონლაინ რეჟიმში განხორციელებულ ძალადობას მოიცავს, რისი შედეგიც, შესაძლოა, მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები გახდეს.[22]

კონკრეტული შიდა ღონისძიებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ჩართულობის მიუხედავად, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ აქტუალურ და საყურადღებო პრობლემად რჩება, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი რისკ ფაქტორები, როგორიც არის საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, განათლების დაბალი დონე, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები, ალკოჰოლ თუ ნარკოდამოკიდებულების მაღალი მაჩვენებლი, უნდობლობა სამართლადამცავი უწყებების მიმართ, დაგვიანებული ან არაეფექტური რეაგირება შესაბამისი უწყებების მხრიდან, ლოკალური მენტალობა და მიდგომები და ა.შ.

[22] United Nations General Assembly. Intensification of efforts to eliminate all forms of violence against women and girls. Report of the Secretary-General.18 August 2022, 3pg

3. გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 144გვ.
2. ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020. საქართველოს.სახალხო დამცველი, 2021, 5გვ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, თავი XII https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=243
4. Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide),15-16pg.
5. United Nations General Assembly. Intensification of efforts to eliminate all forms of violence against women and girls. Report of the Secretary-General.18 August 2022, 3pg
6. Declaration on the Elimination of Violence against Women Proclaimed by General Assembly resolution 48/104 of 20 December 1993,2pg.
7. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women
8. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/violence-against-women
9. gender.geostat.ge/gender/index.php?action=Demography
10. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
11. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
12. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/186/administratsiuli-samartaldarghvevebi
13. https://info.police.ge/page?id=115
14. https://info.police.ge/page?id=102